სს „ინფორჯორჯია XXI"
გვიანელი № 334
17 01 2013

საქართველოს მთავარი პროკურატურის
ფინანსთა სამინისტროში საპროცესო ხელმძღვანელობისა
და უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციაზე
სისხლისსამართლებრივი დევნის დეპარტამენტის უფროსს
ბატონ თეიმურაზ მიქაბერიძეს

სს „ინფორჯორჯია XXI" სამეთვალყურეო
საბჭოს თავმჯდომარის
ივანე გოგიჩაიშვილის
მცხ. მცხეთის რაიონი, სოფ. საგურამო
577 92 44 22

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო სამსახურის თბილისის დეპარტამენტის გამომძიებელ დ. არდაზიშვილის (ზედამხედველი პროკურორი დ. ფაღავა) წარმოებაშია სისხლის სამართლის საქმე სს „ინფორჯორჯია XXI" (საინფორმაციო ცენტრი 09) ყოფილი ხელმძღვანელის გიორგი ქოჩლაძის მიერ საზოგადოების კუთვნილი კომპიუტერული სისტემიდან, მასში უკანონო შეღწევით საზოგადოების კუთვნილი საინფორმაციო ბაზის დანაშაულებრივად დაუფლების და მისაკუთრების ფაქტზე, რამაც დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი მიაყენა სააქციო საზოგადოებას. დღეისათვის ასევე უტყუარად დადგენილია, რომ გ. ქოჩლაძის მიერ გარდა საქართველოს სსკ-ის 220-ე და სსკ-ის 284-ე მუხლის II ნაწილის „ბ" და „დ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულისა, ასევე ჩადენილია სსკ-ის 285-ე მუხლის II ნაწილის „ბ" და „დ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაული, რადგანაც მის მიერ ხდება ჩვენი ფირმიდან უკანონოდ მოპოვებული კომპიუტერული პროგრამის და მონაცემების ხელმისაწვდომობის სხვაგვარი უზრუნველყოფა.

გარდა ამისა, გ. ქოჩლაძის მიერ წლების განმავლობაში დღემდე ხდება საქართველოს სსკ-ის 158-ე მუხლის II ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, რაც გამოიხატება პირადად მისი და მასთან დანაშაულებრივად დაკავშირებული იურიდიული პირის მიერ კომპიუტერული მონაცემის უკანონოდ გამოყენება. ჩვენ უკვე მოვახსენეთ გამოძიებას იმის

შესახებ, თუ როგორ დანაშაულებრივადაა დაკავშირებული შპს „ჯეო ცნობარი" და შპს „კვესი ჯგუფი" ერთმანეთთან, რომლებსაც ხელს უწყობს კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისია და რომელი კავშირითაც გამოძიება უნდა დაინტერესდეს.

გარდა ამისა, ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ გ. ქოჩლაძე თურმე ავრცელებს ხმას, რომ თითქოს მას არანაირი დანაშაული არ ჩაუდენია და გამოძიება მას ვერაფერს ვერ უზავს, რადგანაც გამოსულია ამნისტიის აქტი. საინტერესოა ვისი და რისი იმედი აქვს გ. ქოჩლაძეს, მაშინ როცა მის მიერ წლების წინ ზემოაღნიშნული მუხლებით ჩადენილი დანაშაული არის დენადი დანაშაული და ამ დანაშაულის ჩადენა დღესაც კი გრძელდება, ანუ მასა და მასთან დანაშაულებრივად დაკავშირებული ფირმების მიერ ამ დანაშაულების ჩადენა (საქართველოს სსკ-ის 13 მუხლი) უწყვეტად ხორციელდება 2012 წლის 2 ოქტომბრის შემდეგაც დღემდე და მათზე ვერანაირად ვერ გავრცელდება ვერანაირი ამნისტია. მოგეხსენებათ, რომ დენადი დანაშაული დამთავრებულია ქმედების შეწყვეტის მომენტიდან, ხოლო ეს დანაშაულებრივი ქმედება დღემდე არ შეწყვეტილა.

მიმაჩნია, რომ სააქციო საზოგადოება „ინფოჯორჯია XXI" (საინფორმაციო ცენტრი 09) მითითებულ საქმეში დაზარალებულია და როგორც დამნაშავე პირებისაგან, ისე დამნაშავე იურიდიული პირებისაგან უნდა აუნაზღაურდეს მატერიალური ზიანი. ასევე აღიკვეთოს დამნაშავე პირის და იურიდიული პირების მხრიდან ჩვენი საზოგადოების კუთვნილი საინფორმაციო ბაზის უკანონო და დანაშაულებრივი გამოყენება.

იმედი გვაქვს ისედაც გაჭიანურებულ საქმეზე პროკურატურა დროულ და კანონიერ გადაწყვეტილებას მიიღებს.

ღრმა პატივისცემით,

სს „ინფოჯორჯია XXI" სამეთვალყურეო

საბჭოს თავმჯდომარე ივანე გოგიჩაიშვილი

16 იანვარი 2013 წელი